ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2923328001**
თარიღი:**24/11/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის, 122 -ე მუხლის პრველი ნაწილის „დ“ პუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 30 ოქტომბრის N 28-282330389 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ თუზში, მე -8 ქუჩა N4 -ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მრავალწლიანი ნარგავები) 5162 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს მოქალაქე ავთანდილ კოჩაძეს.

მუხლი 2. 1 (ერთი) თვეში გადასახდელი ქირავნობის თანხა განისაზღვრება **100** ლარით, ხოლო 5 (ხუთი) წლის საიჯარო თანხა შეადგენს **6000** ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM